ცვლილებები შეტანილია სტუ-ის

წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი)

2017 წლის 17 თებერვლის №21 სხდომის

№7 დადგენილებით

აკადემიურ, მოწვეულ პროფესორზე და მასწავლებელთა პერსონალზე სახელფასო დანამატის (ბონუსის) გაცემის წესი

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

ეს წესი განსაზღვრავს საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტის (შემდგომში - უნივერსიტეტი) აკადემიურ, მოწვეულ პროფესორზე და მასწავლებელთა პერსონალზე (შემდგომში - პერსონალი) სახელფასო დანამატის (ბონუსის) გაცემის წესსა და პირობებს.

მუხლი 2.გადაწყვეტილება სახელფასო დანამატის (ბონუსის) გაცემაზე

1. სახელფასო დანამატის (ბონუსის) გაცემის საკითხის ინიცირების უფლება აქვს უნივერსიტეტის შესაბამისი ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულის (ფაკულტეტი, სკოლა) ხელმძღვანელს.

2. სახელფასო დანამატის (ბონუსის) გაცემის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს უნივერსიტეტის რექტორი საკუთარი დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში.

მუხლი 3. სახელფასო დანამატის (ბონუსის) გაცემის პერიოდულობა

1. სახელფასო დანამატი (ბონუსი) პერსონალზე გაიცემა გასული კალენდარული წლის შედეგების გათვალისწინებით, რომელიც ფასდება თანდართული შეფასების კრიტერიუმების მიხედვით (დანართი #1).

2. სახელფასო დანამატი (ბონუსი) გაიცემა ყოველთვიურად, ამ წესის მე-5 მუხლით დადგენილი ოდენობისა და პრინციპების დაცვით.

3. პერსონალის უფლებამოსილების შეწყვეტის შემთხვევაში, სახელფასო დანამატის (ბონუსის) გაცემა წყდება.

4. დანართით გათვალისწინებული ინფორმაციის სისწორეზე პასუხისმგებელია ფაკულტეტის შესაბამისი აკადემიური დეპარტამენტი და პერსონალი. არასწორი ინფორმაციის გამოვლენის შემთხვევაში, საკითხი შესაბამისი რეაგირებისათვის გადაეცემა ფაკულტეტის ეთიკის კომისიას.

მუხლი 4. სახელფასო დანამატის (ბონუსის) ფონდის ფორმირების პრინციპი

1. სახელფასო დანამატის (ბონუსის) ფონდის ფორმირების წყაროა უნივერსიტეტის შესაბამისი ძირითადი საგანმანათლებლო (ფაკულტეტი, სკოლა) ერთეულის ბიუჯეტი.

2. სახელფასო დანამატის (ბონუსის) გაცემა ხორციელდება უნივერსიტეტის შესაბამისი ძირითადი საგანმანათლებლო (ფაკულტეტი, სკოლა) ერთეულის შესაბამისი წლის ბიუჯეტით ამ მიზნით გათვალისწინებული საბიუჯეტო ასიგნებებიდან.

მუხლი 5. გასაცემი სახელფასო დანამატის (ბონუსის) ოდენობა და მისი გაანგარიშების წესი

1. სახელფასო დანამატი (ბონუსი) გაიცემა ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულის (ფაკულტეტი, სკოლა) პერსონალის იმ 40%-ზე, რომლებიც #1 დანართში მოცემული

კრიტერიუმებით დააგროვებენ ყველაზე მეტ ქულას. თანაბარი ქულების დაგროვების შემთხვევაში ბონუსი გაიცემა ყველა თანაბარქულიანზე.

2. კალენდარულ წელს გასაცემი სახელფასო დანამატის (ბონუსის) ოდენობის დასადგენად, შესაბამისი ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულის (ფაკულტეტი, სკოლა) ბიუჯეტში ამ მიზნით გათვალისწინებული ფინანსური ხარჯების ოდენობა (#4.2) იყოფა ამ წესის მე-5 მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული ბონუსის მიმღები პერსონალის მიერ გასული წლის შედეგებით მიღებულ ქულათა საერთო (ჯამურ) რაოდენობაზე და მიღებული რიცხვი წარმოადგენს ერთი ქულის შესაბამის ღირებულებას.

3. მე-5 მუხლით განსაზღვრული ბონუსის მიმღებ ცალკეულ პირზე ყოველთვიურად გასაცემი სახელფასო დანამატის (ბონუსის) ოდენობა გამოითვლება ამ პირის მიერ გასულ კალენდარულ წელს მიღებული ქულების რაოდენობის მიხედვით, რომელიც მრავლდება ერთი ქულის ღირებულებაზე და გადანაწილდება პროპორციულად, ბონუსის გაცემაზე გადაწყვეტილების მიღებიდან კალენდარული წლის ბოლომდე დარჩენილი თვეების რაოდენობაზე.

მუხლი 6. შეზღუდვები პერსონალისათვის სახელფასო დანამატის (ბონუსის) გაცემაზე

1. სახელფასო დანამატი (ბონუსი) არ გაიცემა პერსონალზე, რომელმაც გასული კალენდარული წლის განმავლობაში არასაპატიო მიზეზით გააცდინა სასწავლო ცხრილით განსაზღვრული მეცადინეობა.

2. სახელფასო დანამატი (ბონუსი) არ გაიცემა პერსონალზე, რომლის ჩანაცვლება მოხდა სასწავლო ცხრილით განსაზღვრული მეცადინეობების 10% -ზე მეტ შემთხევაში.

3. ინფორმაციას მეცადინეობის არასაპატიო მიზეზით გაცდენის ან ჩანაცვლებების რაოდენობის შესახებ შესაბამის ძირითად საგანმანათლებლო ერთეულებს (ფაკულტეტი, სკოლა) აწვდის სტუ-ს სასწავლო პროცესის მონიტორინგის დეპარტამენტი.